ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41252103**
თარიღი:**29/07/2025**

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი “ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუმქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის საქმიანობა 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სეწაკის მუწიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური გაწვითარების, სტატისტიკისა და ქოწების მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიაწობის შესახებ

ტურიზმის კუთხით მიმდინარე წლის დასაწყისში, ნოქალაქევში, მიკოტახილის ხეობაში, ყანჩების ბუდობის ადგილზე დაიდგა ბინოკლი ფრინველებზე დაკვირვებისთვის, რომელიც განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და დმო სამეგრელოს თანამშრომლობის საფუძველზე.

ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს (MoU), რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას ტურიზმის განვითარებაში კოლხეთის ეროვნული პარკისა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიებზე. აღნიშნული მემორანდუმი ქმნის თანამშრომლობის სტრატეგიულ ჩარჩოს (შემდგომში "მხარეები") ზუგდიდის, ხობის, ფოთის, სენაკის, აბაშისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებსა (შემდგომში “მუნიციპალიტეტები”) და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს (კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის) შორის მონაწილეობით.

მიმდინარე წლის განმავლობაში, HELVETAS-ის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროექტის (LEDP) ფარგლებში, დაგეგმილია სენაკისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სოფლების - ზემო ჭალადიდსა და ჩიბათს შორის, 6 კილომეტრიანი ეკო ტურისტული ბილიკის მოწყობა, რომელიც ფაქტიურად იქნება კოლხეთის ეროვნულ პარკში მოსახვედრად მეორე ალტერნატიული შესასვლელი ვიზიტორებისთვის. ჭალადიდის ვიზიტორთა ცენტრი სწორედ აღნიშნული ტურისტული ბილიკის დასაწყისში მოეწყობა, რომელიც ინტერ მუნიციპალური თანამშრომლობის ერთ-ერთი პირველი პრეცედენტია სამეგრელოს რეგიონში.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წელს დაგეგმილი ტურიზმის პროექტებში გათვალისწინებული არქეოლოგიური, არქიტექტურული, რელიგიური დანიშნულების ობიექტებისა და ბუნების ძეგლების კვლევა, მარტივი კონსერვაცია და მცენარეული საფარისგან გაწმენდის სამუშაოების ფარგლებში დაგეგმილია საკალანდარიშვილოსა და შხეფის ციხის გაწმენდის სამუშაოები. ელოდება შემსრულებელთან ხელშეკრულების გაფორმების ტექნიკურ პროცედურებს. მიმდინარეობს მუშაობა სენაკის მუნიციპალიტეტის ციფრული გზამკვლევის ელექტრონული ვერსიის შექმნაზე. ასევე მუშა პროცესშია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური, არქიტექტურული, რელიგიური დანიშნულების ობიექტებსა და ბუნების ძეგლებამდე მისასვლელი მარშრუტების მარკირების პროექტი და დამატებით ახალი ობიექტების საინფორმაციო დაფებით აღჭურვის პროცესი.

სოფლის მეურნეობის კუთხით 2025 წლის იანვრის თვეში საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტმენტის მიერ შემუშავებულ იქნა „მრავლობითი საფრთხის კატასტროფების რისკის საინფორმაციო სისტემის ციფრული პორტალი, პროექტის „კლიმატით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, რომლის ტრენინგებსაც დავესწარით ქ.თბილისში. ასევე ზუგდიდსა და თბილისში დავესწარით ტრენინგებს

გარემოსდეცვითი მიმართულებით,კერძოდ „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შემუშავება თემებში“.

მონაწილეობა მივიღეთ ათეას მიერ გამოცხადებულ კონკურსის „საუკეთესო პრაქტიკა“, გამარჯვებული მუნიციპლაიტეტების დაჯილდოების ცერემონიაზე,სადაც წარდგენილი პროექტი „ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა სენაკის მუნიციპალიტეტში მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის შესაბამისად „ გამოცხადდა 2024 წლის გამარჯვებულად ნომინაციაში „გარემოს დაცვა,კლიმატის ცვლილება,ენერგოეფექტურობა“ . სენაკის მუნიციპალიტეტის მერს და წარმდგენ სპეციალისტს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მინისტრის მოადგილემ გადმოგვცა პრიზები და დიპლომი.

ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული „მერების შეთანხმების „ფარგლებში აღებული ვალდებულების შესაბამისად ენერგოეფქტურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და ტყის რესურსების დაცვის მიზნით შევიძინეთ 12 ერთეული ენერგოეფქეტური ღუმელი და გადავეცით სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ხორშის, ეკისა და უშაფათის საბავშვო ბაღებსა და რწმუნებულებს.

ფერმერთა უწყვეტი განათლების პროგრამის ფარგლებში მოვაწყვეთ აგრო ტური ხონის მუნიციპალიტეტის გორდის საოჯახო სასტუმროში, სადაც ჩართული იყვნენ 2024 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ფერმერები და მეწარმეები. აგროტურის მიზანია ფერმერების ცნობიერების ამაღლება და ხელმისაწვდომობა თანამედროვე ტექნოლოგიებზე. მიმდინარე აგროტურის თემა იყო „სტუმარმასპინძლობის „სექტორი, მასტერკლასები და სასტუმროს მენეჯმენტი. მათივე ჩართულობით მოვაწყვეთ აგრო კუთხე 26 მაისის ღონისძიებაზე.

ადგილობრივი მეწარმეების სამეწარმეო უნარების გაუმჯობესებისა და ციფრულ ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სენაკის ტექნო პარკთან ერთად განვახორციელეთ პროექტი „ინოვაციები მცირე და საშუალო ბიზნესში“. პროექტის ფარგლებში კონკურსში ჩართ ულ 35 მეწარმეს 7 დღის განმავლობაში ტექნო პარკის მიერ მოწვეული ტრენერების მიერ ჩაუტარდათ სწავლება, ხოლო დემო დღეზე მათ მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციების შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მერიის რჩეული გახდა 3 ინოვაციური პროექტი, რომელზეც გადანაწილდა 8 000 ლარი ,ხოლო 3 მეწარმე გახდა ტერა ბანკის და კომპანია „მასტერ ედუს“ რჩეული.

აპრილის თვიდან გამოვაცხადეთ აგრარულ სფეროში ჩართული პირების ტექნიკური დახმარების საგრანტო კონკურსი. კონკურსის ბიუჯეტი 15 000 ლარი. კონკურში მონაწილეობა მიიღო 17 პირმა. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 7 საპროექტო იდეა, მათ შორის 2 ქალი და 5 ახალგაზრდა ფერმერი.

პასუხი გავეცით შემოსულ კორესპონდენციებს, კერძოდ საქსტატს მივაწოდეთ მოთხოვნილი ინფორმაცია 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცხვრისა და თხის სულადობისა და 2004 წლის განმავლობაში საზამთროსა და ნესვის წარმოების შესახებ.

დავესწარით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგს ქ. ზუგდიდში „გარემოსდაცვითი სამართლიანობა“.

ქ. სენაკში, რუსთაველის ქ. N235-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე, სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ 44.01.31.034.01.514) 1 ოთახის (42,87 კვ.მ) შპს ,,საინფორმაციო ცენტრი"-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე მომზადდა ბრძანება.

მოსახლეობის მოთხოვნათა შესაბამისად, ქ. სენაკში, ახალსოფლის და თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სპორტული მოედნის მოსაწყობად შერჩეულ მიწის ნაკვეთებზე გაკეთდა საკადასტრო აზომვითი ნახაზები, რომელიც გაიგზავნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში კატეგორიის ცვლილებისა და შემდგომ გადმოცემის თაობაზე, რომელიც გადმოგვეცა, გაიგზავნა საჯარო რესტრის ეროვნულ სააგენტოში და ოთხივე მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრებად (ს/კ 44.01.35.871, 44.13.23.632, 44.03.25.558, 44.03.29.701).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 30 სექტემბრის N1237412 წერილის საფუძველზე სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ მენჯის, ზანის, თეკლათის საჯარო სკოლის შენობების პირველ სართულზე მდებარე თითო ოთახი უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში, ერთი წლის ვადით, გადმოეცა სენაკის მუნიციპალიტეტს შემდგომში ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის" გაერთიანებაზე გადასაცემად, რაზედაც მომზადდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის" გაერთიანებას გადაეცა აღნიშნული უძრავი ქონებები.

საიჯარო ხელშეკრულებების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, სს ,,სილქნეტი"-ს და ტელეკომპანია ,,ეგრისი"-ს მოთხოვნათა შესაბამისად შედგა შეთანხმება ვადის გაგრძელებაზე. მუნიციპალიტეტში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების თაობაზე სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გაიგზავნა წერილები სენაკში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 44.01.31.1040) 5კვ.მ, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ნაკვეთიდან (ს/კ 44.01.28.1006) 31 კვ.მ გამოყოფის, კატეგორიის შეცვლისა და მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ, ასევე გაიგზავნა ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 44.06.22.359) კატეგორიის შეცვლისა და მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე, შემდგომში მათი პრივატიზების მიზნით.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გაიგზავნა მოთხოვნა ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (ყოფილი ნორჩ ნატურალისტთა სადგური) მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებიდან მიღებულმა შემოსულობებმა სულ შეადგინა 32 090 ლარი, მათ შორის შენობა-ნაგებობებიდან 23 100 ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გადაცემიდან - 8 990 ლარი.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოდის მომართვები სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემისათვის პოზიციის

დაფიქსირების თაობაზე. ვაწარმოებთ ამ საკითხზე შემოსული მომართვების რეგისტრაციას, ადმინისტრაციული ერთეულისა და საკადასტრო კოდის მითითებით. სათანადო მასალების მომზადების შემდეგ პასუხის გაცემას. ამ მხრივ მ/წელს შემოსულია 21 მომართვა, პასუხი გაცემულია ჩემს მიერ 7 მომართვაზე,. არ არის პასუხი გაცემული 3 მომართვაზე .

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოდის მომართვები სისტემური რეგისტრაციის მონაცემებში დაფიქსირებული მოსარგებლე სუბიექტის არსებობის თაობაზე, შემოსულ 2 მომართვაზე გაცემულია პასუხი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში შემოსულ 20 განცხადებას გაეცა პასუხი. ასევე პასუხი გაეცა საშემოსავლო სამსახურიდან შემოსულ 2 მომართვას.

მონაწილეობა მივიღეთ ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის - სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ხელშეწყობა სოციალურ- ეკონომიკური გაძლიერების მიზნით სამუშაო ჯგუფის კომისიის მუშაობაში.

სეწაკის მუწიციპალიტეტის მერიის ეკოწომიკური გაწვითარების,

სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მ. ჯანაშია